

ფინანსების საფუძვლები I, II კურსი  
(ბიზნესტექნოლოგიები, ეკონომიკა, აგრარული) (მერაბ ვანიშვილი)  
I,II სემესტრი. 2018-2019 წელი

შუალედური გამოცდის ნიმუში

**Question 1**

ტერმინი ფული ნიშნავს:

Select one:

- a. საერთოდ სიმდიდრეს;
- b. მხოლოდ შენობას;
- c. მხოლოდ ოქროს მონეტას.
- d. მხოლოდ ფასიანი ქაღალდებს;

**Question 2**

დეკრეტულ ფულს წარმოადგენს:

Select one:

- a. თამასუქი.
- b. ობლიგაციები,
- c. აქციები;
- d. ლარი;

**Question 3**

ფულის ღირებულების ზრდასთან ერთად, ფულზე მოთხოვნა:

Select one:

- a. იზრდება;
- b. კლებულობს;
- c. ცვალებადია.
- d. უცვლელია;

**Question 4**

სახელმწიფო ფინანსები გამოიხატება ფულად ურთიერთობებში, რომლებიც ყალიბდება:

Select one:

- a. ცალკეული ოჯახების შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების პროცესში;
- b. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების განსახორციელებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსებისას, საჭირო ფულადი ფონდების შექმნის მიზნით.
- c. კერძო საწარმოთა (ორგანიზაციათა) ეკონომიკური საქმიანობის პროცესში;
- d. სახელმწიფო საწარმოთა (ორგანიზაციათა) ეკონომიკური საქმიანობის პროცესში;

### Question 5

საფინანსო სისტემა არის:

Select one:

- a. სახელმწიფოსა და საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა.
- b. საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;
- c. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფინანსური საქმიანობის განმხორციელებელი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ერთობლიობა;
- d. სახელმწიფოს ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;

### Question 6

ქვეყნის საფინანსო სისტემა შედგება შემდეგი სამი ძირითადი ნაწილისგან:

Select one:

- a. ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ფინანსები;
- b. ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და კორპორაციული ფინანსები;
- c. ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და საერთაშორისო ფინანსები.
- d. სახელმწიფო, კორპორაციული და საოჯახო ფინანსები;

### Question 7

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას არეგულირებს:

Select one:

- a. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- b. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- c. საქართველოს კანონი - „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“.
- d. საქართველოს კანონი - „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

### Question 8

ფინანსური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არის:

Select one:

- a. საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა;
- b. სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის წესი და რეგლამენტი.

- c. საწარმოს შიდა ფინანსური ურთიერთობების სისტემა;
- d. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა;

### Question 9

თანამედროვე საქართველოს ფინანსური პოლიტიკა ხასიათდება:

Select one:

- a. კლასიკური ტიპით;
- b. ნეოკონსერვატორული ტიპით.
- c. მარეგულირებელი ტიპით;
- d. დირექტიული ტიპით;

### Question 10

საშემოსავლო გადასახადსა და სახელმწიფო კრედიტს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა:

Select one:

- a. კლასიკური ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;
- b. მარეგულირებელი ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;
- c. გეგმურ-დირექტიული ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში.
- d. ნეოკონსერვატორული ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;

### Question 11

ქვემოჩამოთვლილთაგან ფინანსების მართვა არ მოიცავს:

Select one:

- a. ფინანსურ დაგეგმვას და პროგნოზირებას;
- b. ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას და მიღებას;
- c. საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდების ფულად შეფასებასა და ინვენტარიზაციას.
- d. სახელმწიფოს მიერ საერთო ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრას და გატარებას;

### Question 12

აშშ-ის თავისი მნიშვნელობით მეორე საფინანსო უწყების (ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს) ფუნქციებში არ შედის:

Select one:

- a. საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის დამუშავება;
- b. ფედერალური ბიუჯეტის შედგენა და საფინანსო პროგრამების შემუშავება;
- c. სამთავრობო პროგრამებისა და მათი დაფინანსების პროგნოზირება, მართვა, კონტროლი და კოორდინაცია;
- d. ბიუჯეტის შესრულების ოპერატიული კონტროლი.

### Question 13

ფინანსური დაგეგმვის მთავარი ობიექტია:

Select one:

- a. ფინანსური რესურსები.
- b. ცენტრალიზებული ფონდები;
- c. ფინანსური რეზერვები;
- d. დეცენტრალიზებული ფონდები;

### Question 14

ეკონომიკური თვალსაზრისით, გადასახადი, უწინარეს ყოვლისა, არის:

Select one:

- a. სუბიექტის შემოსავლის ნაწილი, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს განსაკარგავად;
- b. საზოგადოების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის კუთვნილება და შემოსავლების წყარო;
- c. ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახდელი;
- d. ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი შენატანი ბიუჯეტში ან სპეციალურ სახელმწიფო ფონდში კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

### Question 15

როდესაც გადასახადი მონაწილეობს ახლად შექმნილი ღირებულების გადანაწილების პროცესში, გამოდის წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმად, მასში ვლინდება გადასახადების:

Select one:

- a. იმპერატიული შინაარსი;
- b. მატერიალური შინაარსი.
- c. აკუმულაციური შინაარსი;
- d. საზოგადოებრივი შინაარსი;

### Question 16

მოგება, შემოსავალი, გადასახადის გადამხდელის ბრუნვა ან ქონება, რომელიც გადასახადის გამომანგარიშების საფუძველია, წარმოადგენს:

Select one:

- a. გადასახადის სუბიექტს;
- b. გადასახადის ობიექტს;
- c. საგადასახადო სარგოს;
- d. საგადასახადო განაკვეთს.

### Question 17

საქართველოში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა წარმოებს:

Select one:

- a. რეგრესული დაბეგვრის მეთოდით;
- b. პროგრესული დაბეგვრის მეთოდით;
- c. პროპორციული დაბეგვრის მეთოდით;
- d. თანაბარი დაბეგვრის მეთოდით.

### Question 18

ფინანსური კონტროლი, როგორც ფინანსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი, დამახასიათებელია:

Select one:

- a. მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის;
- b. მხოლოდ არამატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის;
- c. განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროს ურთიერთობებისათვის.
- d. მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობებისათვის;

### Question 19

ჩატარების ვადების მიხედვით გამოიყოფა:

Select one:

- a. წინასწარი, მიმდინარე (ოპერატიული) და შემდგომი (დასკვნითი) კონტროლი;
- b. საბიუჯეტო, საგადასახადო და სავალუტო კონტროლი.
- c. უწყებრივი, შიდასამეურნეო და აუდიტორიული კონტროლი;
- d. საპრეზიდენტო, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლი;

### Question 20

იმ პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, არ მიეკუთვნება:

Select one:

- a. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა;
- b. დასაქმებული ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული ბუღალტერი;
- c. ჰქონდეს აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA).
- d. იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

### Question 21

იმ პირობებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი, არ მიეკუთვნება:

Select one:

- a. ჰქონდეს ხარისხის კონტროლის სისტემა;
- b. იყოს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი;
- c. იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი;
- d. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის გავლის შემდეგ მიღებული ჰქონდეს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა.

### Question 22

ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობის პირობებში სახელმწიფო მართვა ხორციელდება:

Select one:

- a. სამ მმართველობით დონეზე;
- b. ოთხ მმართველობით დონეზე;
- c. ორ მმართველობით დონეზე;
- d. ხუთ მმართველობით დონეზე.

### Question 23

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სხვა უწყებებთან კოორდინაციით, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებზე მუშაობას იწყებს ყოველი წლის:

Select one:

- a. 1 იანვარს;
- b. 1 თებერვალს;
- c. 1 მარტს;
- d. 15 აპრილს.

### Question 24

საბიუჯეტო შემოსულობების გადანაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის იწოდება:

Select one:

- a. საბიუჯეტო პროცესად.
- b. საბიუჯეტო დაგეგმვად;
- c. საბიუჯეტო რეგულირებად;
- d. საბიუჯეტო კონტროლად;

### Question 25

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი არ შეიცავს:

Select one:

- a. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს და მათ აღწერას;
- b. ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

- c. წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.
- d. ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

### Question 26

მხარჯავი დაწესებულებები ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ:

Select one:

- a. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვისა;
- b. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
- c. არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.
- d. არაუგვიანეს 25 ნოემბრისა;

### Question 27

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხებისა თუ სხვა ვალდებულებების დაფარვის პასუხისმგებლობას, იგი გვევლინება:

Select one:

- a. კრედიტორის რანგში;
- b. გარანტის რანგში;
- c. მსესხებლისა და კრედიტორის რანგში.
- d. მსესხებლის რანგში;

### Question 28

საშუალოვადიანი სახელმწიფო სესხები ითვალისწინებს პერიოდს:

Select one:

- a. 2-3 წლიდან 10 წლამდე ვადით;
- b. 3 თვიდან 1 წლამდე ვადით;
- c. 10 წლიდან 40-50 წლამდე ვადით.
- d. 1 წლიდან 2-3 წლამდე ვადით;

### Question 29

სახელმწიფო ვალის კონვერსიის მეთოდებს არ განეკუთვნება:

Select one:

- a. ფაკულტატიური კონვერსია;
- b. ნებაყოფლობითი კონვერსია.
- c. იძულებითი კონვერსია;

d. ხარისხობრივი კონვენსია;

### Question 30

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 481 მუხლის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული საქართველოს მთავრობის დავალიანება (მიღებული კრედიტები და გადაფორმებული სავალო ვალდებულებები), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო ვალს, დაფარულ უნდა იქნეს:

Select one:

- a. 2025 წლის 31 დეკემბრამდე;
- b. 2020 წლის 16 მარტამდე;
- c. 2030 წლის 16 მარტამდე;
- d. 2015 წლის 31 დეკემბრამდე.